# სხივი

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თ ფ ი ლ ი ს ი

პარასკევი, 16 დეკემბერი

1905

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.

წელიწადი პირველი.

გაზეთი **„სხივი"** წლიურათ ღირს 6 მანეთი, თვიურათ 50 კაპეიკი, ცალკე ნომერი 3 კაპეიკი. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაბეჭდილ წერილების შესახებ შეიძლება ნაშუადღევის 3—5 საათამდე.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟესკის ქუჩ. № 17.
ტელეფონი №

№ 9 ყოველ-დღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი. № 9


### გაფიცვის ბიუროსაგან.

**რადგანაც თბილისში და თბილისის მაზრაში სამხედრო წესები შემოიღეს, რითაც ისპობა ოქტომბრის თავისუფლება და პრესაც პოლიციის თვითნებობას ეძლევა, ვაჩერებთ ყველა გაზეთების გამოცემას, მათ შორის „სხივსაც".**

### რედაქციისაგან.

**თანახმათ თფილისის გაფიცვის ბიუროს დადგენილებისა და კავშირის ბიუროს გადაწყვეტილებისა „სხივის" გამოცემას დროებით ვაჩერებთ. ხელის-მოწერის მიღება გრძელდება. დაკლებული ნომრები თვიურ ხელის-მომწერთ შემდეგ შეუსრულდება.**

### სამხედრო წესები

—

თფილისი, თფილისის მაზრა და ამიერ კავკასიის რკინის გზა სამხედრო წესებზე გამოცხადდა და ამით ყოველივე ჩვეულებრივი კანონები მოისპო და მის ალაგას დამყარდა ძალა. დაჭირვა, გადასახლება, გაზეთების მიკეტვა, კრების აკრძალვა, იარაღის აყრა, ერთი სიტყვით ძველი დრო მობრუნდა და ოქტომბრის თავისუფლება ერთი კალმის მოსმით გაქრა. მიზეზი? მიზეზია დღევანდელი გაფიცვა. მაშასადამე გაფიცვის თავისუფლებაც სხვა მრავალ თავისუფლებასთან ერთათ ცარიელი სიტყვები ყოფილა. ჯერ კიდევ ოქტომბრამდის მოისპო ყველა ის კანონი, რომელიც გაფიცვას კრძალავდა და მით გაფიცვა ბრძოლის კანონიერ საშუალებათ გამოცხადდა. ახლა კი მას ხელახლა უკანონოთ აცხადებენ და მის მოსასპობათ ძალას მიმართავენ. ასე ჩვენი მანასეო, ხან ისე და ხან ასეო — მთავრობის მცნებათ გამხდარა. ასეთ მდგომარეობაში განა შეიძლება იყოს რამე გარანტია თავისუფლების და წესიერი ცხოვრების? თუ კი ყოველ წუთში შეიძლება ერთი წყობილება გაუქმდეს და მეორე დამყარდეს, თუ კი მოხელის ქეიფი ცხოვრების ქვაკუთხედი ხდება, თუ კი არარც მანიფესტებს და არარც მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებს აქვთ მთავრობის თვალშივე გასავალი — აშკარაა ძალა და თვითნებობა ერთათ ერთი საფუძველია საზოგადოების, ერთათ ერთი კანონი, კანონს გარეშე დაყენებული მცხოვრებლების. ვის შეუძლია თქვას, ხვალ ციხეში არ ამომაყოფინებენ თავსო? ვინ არის უზრუნველყოფილი თავს დასხმის და ძალმომრეობისაგან? გუშინდელი მოქალაქე დღეს ისევ შინაყმათ გადიქცა, გუშინდელი პატივახდილი პოლიციელი დღეს ისევ ბატონათ მოგვევლინა.

გაფიცვისათვის სამხედრო წესების გამოცხადება — ეს რეაქციის უმწვერვალესი გაბოროტებაა, სულთ-მობრძავის უკანასკნელი ამოსუნთქვაა. წინეთ ასეთ წესებს იწვევდა არა გაფიცვა, არამედ ტერორისტული და სხვა ამის მზგავსი აქტები. დღეს კი არაფერი ეს არ მომხდარა, ყოველგან ქუჩებზე მშვიდობიანობაა, არავითარი თავს დასხმა რევოლიუციონერთაგან არ ხდება და მიუხედავათ ამისა მაინც სამხედრო წესებს აცხადებენ! მთავრობა ოქტომბრის წინანდელ დროსაც არ აბრუნებს, ის კიდევ შორს მიდის, რეაქციის საზღვარს არ უდებს. ოქტომბრის თავისუფლება მოისპო, კაზაკის თავისუფლება გამეფდა.

სამხედრო წესების ასე უსაბუთოთ გამოცხადება ნიშანია იმის, რომ არავითარი მკვიდრი წყობილება არ შეიძლება დამყარდეს მანამდის, სანამ დამფუძნებელი კრება არ შეიკრება და რეაქციას სამუდამოთ არ ალაგმავს.

### ბურჟუაზიული პარტიები და პროლეტარიატი.

II

როგორ უყურებს ბურჟუაზია საერთოდ და ბურჟუაზიული პარტიები კერძოთ რევოლიუციას? რას გამოელიან ისინი რევოლიუციისაგან? აქვთ იმათ ამაში რაიმე საერთო პროლეტარიატთან, თუ არა?

ბურჟუაზიული პარტიები, როგორც დავინახეთ („სხივი", № 6), სრულებით არ ფიქრობენ თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების ძირიანათ შეცვლას, იმათი სურვილი და მიზანი უკეთეს შემთხვევაში არ მიდის არსებული წესწყობილების ნიადაგზე რეფორმების მოხდენის იქით. იქ, სადაც მონარქიულ — ბატონყმური თვითმპყრობელობა სავსებით არ გამქრალა, როგორც ეს იყო, მაგ. ამ უკანასკნელ დრომდის რუსეთის სახელმწიფოში. ბურჟუაზიის მიზანს შეადგენს, რა თქმა უნდა მეფის თვითმპყრობელობის გაუქმება იმ აზრით, რომ მთელი მართვა-გამგეობის საქმე თითონ ჩაიგდოს ხელში, რათა სავსებით და ბოლომდის განახორციელოს და განამტკიცოს ბურჟუაზიული წესწყობილება. ბურჟუაზიის მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ მთავრობას დაუახლოვდეს, მაზე მეტი თუ ნაკლები გავლენა მოახდინოს, მთავრობის ძალა და განმგელობა თავის ბატონობის იარაღათ გამოიყენოს. ამის განხორციელება ბურჟუაზიას ორ დიდ ბანაკათ ყოფს. ერთი ბანაკი, რომელიც შედგება მსხვილ მემამულეებისაგან და მსხვილ ბურჟუა-კაპიტალისტებისაგან და რომელიც ფაქტიურათ ბრძანებლობდა დღემდის რუსეთში, ე. ი. ბურჟუაზიის მაღალი სფერები, ანუ ბურჟუაზიული არისტოკრატია, თავიდან ბოლომდე რეაქციონური კლასია. იგი თავიდან მომხრე იყო და არის თვითმპყრობელობის, რადგანაც იცის, რომ ეს უკანასკნელიც მისი მომხრე და მოსარჩლე იყო და არის. ამ კლასს არა სწამს არავითარი მოძრაობა დაბლიდან, არავითარი მოძრაობა, რომელიც ხალხის გულში იბადება. იგი მომხრეა ყოველგვარი ძალმომრეობის, ყოველგვარი სასტიკი ზომების ხალხის წინააღმდეგ. მისი იდეალია მაგარი, ძლიერი მთავრობა, რომელიც ყველას ტუქსავს, ყველას შიშის ზარს სცემს, რომელიც კერძო საკუთრებას ე. ი. კაპიტალისტურ ექსპლოატაციას იცავს, რომელიც მუშათა კლასს ხიშტებით და ზარბაზნებით აშინებს, რომელიც კაპიტალისტების სიმდიდრის და ქონების დარაჯის როლს ასრულებს.

რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია, ე. ი. მსხვილი მიწათმფლობელები, მსხვილი ბურჟუა-კაპიტალისტები, ბანკირები, ბირჟის წარმომადგენლები აქამდის მეფის კალთას ეფარებოდენ. მთავრობა იმათ აძლევდა სესხს, კონცესიებს, ჯილდოებს და ყოველგვარ პრივილეგიებს, ერთი სიტყვით ანიჭებდა ყოველგვარ უფლება უპირატესობას. ამიტომაც ისინი წინააღმდეგი იყვნენ ხალხში ყოველგვარი დემოკრატიული და რევოლიუციური მოძრაობის, რადგანაც ამას იმათი ინტერესები მოითხოვდა. ამ გზას ადგა ბურჟუაზიული არისტოკრატია სულ უკანასკნელ დრომდის, ე. ი. მანამ, სანამ პროლეტარიატის ძლევა-მოსილმა რევოლიუციურმა მოძრაობამ სრულებით არ შეარყია მთელი სახელმწიფო წესწყობილება, როცა ბურჟუაზიისათვის შეუძლებელი შეიქნა წესიერი" ცხოვრება, ვინაიდან შეჩერდა კაპიტალისტური წარმოების ბორბალი, პოლიტიკურ და ეკონომიურ გაფიცვების გამო შეჩერდა წარმოება, ე. ი. კაპიტალისტების გამდიდრების საშუალება; ერთი სიტყვით მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამავე დროს მსხვილი ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ მთავრობას ძალა აღარ ჰქონდა, მისი ძლიერება საეჭვო შეიქნა; აშკარა შეიქნა, რომ ასეთი მთავრობა აღარ გამოდგებოდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის დასაცავათ. ამიტომ რეაქციონური ბურჟუაზიაც ბოლოს იძულებული შეიქნა ხალხის რევოლიუციურ მოძრაობაში ჩარეულიყო. ეს ჩარევა გამოიხატა იმაში, რომ მან წამოაყენა რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები, ე. ი. ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, რასაკვირველია დიდი ქონებრივი ცენზის საფუძველზე. ამით განისაზღვრა მისი როლი, ამას იქით იგი არ წასულა და არც შეეძლო წასულიყო. თუ სადამდის მიიღა მისი მოთხოვნა, მისი „მონაწილეობა" რევოლიუციაში, ეს აშკარათ ჩანს იქიდან, რომ 6 აგვისტოს მანიფესტმა ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მსხვილ ბურჟუაზიის პარტია სავსებით დააკმაყოფილა; იმათთვის 17 ოქტომბრის მანიფესტიც სრულებით საჭირო აღარ იყო. რასაც თხოულობდა, მან ყოველივე მიიღო, თუმცა არა თავისი მეცადინეობით, მაგრამ ეს მისთვის სულ ერთი იყო. მოსალოდნელი იყო, რომ ამას შემდეგ მსხვილი ბურჟუაზია ისევ თავის რეაქციონურ ტყავში შეძვრებოდა, მთავრობას და ტახტს მიემხრობოდა და პროლეტარიატის გადაწყვეტილებას რევოლიუციის ბოლომდის მიყვანის თაობაზე იგი დაგმობდა, ქვეყნის და ხალხის ღალატათ გამოაცხადებდა. ეს მართლაც ასე მოხდა. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე, როცა ბურჟუაზიის მაღალი სფერები დარწმუნდენ იმაში, რომ პროლეტარიატი სრულებით არ ფიქრობს რევოლიუციის შეწყვეტას, იარაღის დაყრას, რომ იგი მზათ არის იბრძოლოს მანამ, სანამ თავის უმახლობელეს მიზანს არ მიაღწევს ე. ი. არ განახორციელებს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკას და რვა საათის სამუშაო დღეს, იმათ მაშინვე დაიწყეს აქტიური ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ. პეტერბურგის და მოსკოვის ბურჟუაზიის მსხვილმა ბობოლებმა მაშინვე შეადგინეს ეგრეთ წოდებული „წესიერების" პარტია, შეკრეს კავშირი, რომ პროლეტარიატს ებრძოლონ და რევოლიუციის გაგრძელების საშუალება არ მისცენ. თუ აქამდის პროლეტარიატი იბრძოდა ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ გაფიცვის საშუალებით, ახლა ეს იარაღი თვით ბურჟუა-კაპიტალისტებმა იხმარეს. პროლეტარიატის წინააღმდეგ. პეტერბურგის და მოსკოვის მსხვილმა ქარხნებმა და ფაბრიკანტებმა ხაზინასთან ერთათ შეაჩერეს წარმოება თავის სამრეწველოებში, რასაც შედეგათ მოყვა პეტერბურგის პროლეტარიატის ქუჩაზე გამოყრა. ამით ბურჟუა-კაპიტალისტებს უნდოდათ ორში ერთი: ან რევოლიუციური პროლეტარიატი სიმშილსიცივისაგან დაიხოცება ან იგი გაჭირვებისაგან მოთმინებას დაკარგავს, ერთბაშათ მოუმზადებლათ თავდასხმას მოახდენს, და მთავრობას შეძლებას მისცემს თავი ამოაგლიჯოს. ასეთი ხერხი ახალი არ არის ბურჟუაზიის მხრით: საფრანგეთში იგი რამდენიმეჯერ იხმარა მან პარიჟის პროლეტარიატის გასაჟლეტათ, მაგრამ საბედნიეროთ ჩვენში დღეს ეს ხერხი აღარ გამოდგება. პროლეტარიატი დღეს სულ სხვა პირობებში ახდენს რევოლიუციას, დღეს იგი იბრძვის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით; ამიტომ იგი ბურჟუაზიას ნებას არ მისცემს მის მიერ დაგებულ ხაფანგში ჩავარდეს. ერთი სიტყვით მსხვილი ბურჟუაზიის იმედი გაცრუვდა, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს თავის რეაქციონურ პოლიტიკას, რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას. აი ასეთია მსხვილი ბურჟუაზიის როლი დღევანდელ რევოლიუციაში. თუ როგორია ბურჟუაზიის მეორე ლიბერალური ბანაკის როლი, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

### კიდევ რევოლიუციური თვით-მართველობის შესახებ

რევოლიუციური თვითმართველობა ნიშნავს თვითმართველობის რევოლიუციური პროლეტარიატის ხელში გადასვლას, და მით ადგილობრივი რევოლიუციის ორგანიზაციის ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ. ასეთი თვითმართველობა აუცილებლათ ეჭირება პროლეტარიატს არა ქალაქის წესრიგის დასაცველათ, არამედ შესაიარაღებლათ, რევოლიუციური არმიის შესადგენათ. მუშამ დღეს უკვე მოიპოვა უფლება იარაღის ტარების, მაგრამ რათ უნდა ცარიელი უფლება თუ მას ამის განსახორციელებელი საშუალება არ ექნება. ამ უფლებით ჩინებულათ სარგებლობს ბურჟუა და კიდევაც იარაღდება, პროლეტარი კი ისევ ისე უიარაღოთ რჩება. და თუ ის ქალაქის თვითმართველობას დაეპატრონება, მაშინ მის ხელში გადავა ქალაქის შემოსავალი და შეუდგება თავის თავის შეიარაღებას. და აი ამის მომენტი უკვე დადგა ჩვენში. ძველი რეჟიმის დარღვევა არღვევს ძველ თვითმართველობასაც, არსთაის დღეს აღარ თამაშობს რაიმე როლს; როგორც მთავრობა დაიბნა და თავისივე უძლურებაში ქრება, ისე ქალაქთა გამგეობა იბნევა და უძლურებით იხრწნება. მისი ფეხზე წამოყენება შესაძლებელია მისი სრული განახლებით, მისი მართლა ხალხის საბუდარათ გადაქცევით. და როცა ამის შემთხვევა უკვე გვაქვს, როცა ზოგი ჩვენი ქალაქები უკვე გადადის სოც.-დემოკრატიისხელში (სოხუმი, ფოთი, ოზურგეთი), ამ დროს გამოდის ამხ. კორა „რაბ. ლის."-ში (№ 14) და აცხადებს, ეს ბურჟუაზიის საქმეა, ეს პროლეტარიატისთვის საჭირო არ არისო! გამოდის, რომ პროლეტარიატს არ ეჭირვება თავისი რევოლიუციური ორგანიზაცია გააორკეცოს კიდევ უფრო დიდი ორგანიზაციით. გამოდის რომ რევოლიუციის განვითარება არ მოითხოვს თვითმართველობათა გარევოლიუციონერებას. პირიქით, ჩვენ ვიტყვით რომ ყველა მართლა დიდი რევოლიუცია აიძულებდა რევოლიუციურ კლას მიემართა თვითმართველობისათვის, გაერეკა იქიდან ზომიერები და თვით გამაგრებულიყვენ. 1793 წ., პარიჟის საბჭო გაცილებით მეტ როლს თამაშობდა, ვინემ თვით კონვენტი. მეორე მხრით, ლიონის თვითმართველობის რეაქციონერთა ხელში გადასვლამ რევოლიუცია ჩააქრო არა მარტო ლიონში, არამედ მთელ მის ახლო-მახლო პროვინციებში. საჭირო იყო ხანგრძლივი ბრძოლა, რომ ლიონი ისევ რევოლიუციონერთა ხელში გადასულიყო.

რევოლიუციური თვითმართველობა ბურჟუაზიული თვითმართველობაა, ამბობს ამხ. კორა. მერე? განა ამიტომ უნდა უარვყოთ იგი? მაშ მთელი დღევანდელი რევოლიუცია უნდა უარვყოთ, ვინაიდან ისიც ბურჟუაზიულია. რევოლიუციური თვითმართველობა შესაძლებელია რევოლიუციის გამარჯვების შემდეგო — დასძენს ის. რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ის არც ისე საჭიროა, ის მიუცილებელია სწორეთ ახლა, როცა რევოლიუცია ჯერ კიდევ არ არის გამარჯვებული, როცა რეაქცია კიდევ გვებრძვის, და მაშასადამე თვითმართველობით შეიარაღება რევოლიუციის გამარჯვებას დეხმარება რევოლიუციური თვითმართველობა იარაღია რევოლიუციის გასამარჯვებლათ და რეაქციის გასატეხათ. და ვინც მას უარყოფს — ხელიდან გვაცლის ამ ძლიერ იარაღს და აძლევს ბურჟუაზიას. თუ კი ჩვენ არ დავეპატრონებით მას, აშკარაა ბურჟუაზიული პარტიები დაეპატრონებიან და ჩვენზე საჭიროების დროს იერიშით მოვლენ. თავის თავათ ცხადია, რომ რევოლიუციური თვითმართველობის შემოღება ყოველგან ერთ დროს შეუძლებელია, ამ შემთხვევაში ჩვენ მეტს ვიზამდით, დამფუძნებელ კრებას მოვიწვევდით. მაგრამ თუ ყოველგან ეს არ შეიძლება, ალაგ-ალაგ შესაძლებელია, აქა-იქ ამის ნიადაგი მომწიფებულია და სწორეთ პოლიტიკური პარტიის ტაქტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ეს მომენტები გამოიცნოს და იმის თანახმათ იმოქმედოს. შეიძლება ასეთი ნიადაგი დღეს სადღაც პეტერბურგსკში არ იყოს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს რომ აღარც სხვაგან არის? რუსეთის რევოლიუცია იმით არის შესანიშნავი, რომ აქ პროვინციები, სხვა და სხვა კუთხე და ერი სხვა და სხვა ნაირ როლს თამაშობენ. ერთი კუთხე უფრო რევოლიუციურია, ვინემ მეორე, ერთი ქალაქი მეორეზე უფრო მოწინავეა. რევოლიუცია ხან აქ იფეთქებს, ხან იქ, და აი ეს შლის და არღვევს ძველ წყობილებას. რევოლიუციის მარტო ცენტრში გამარჯვება სრულებით არ ნიშნავს მის პროვინციაშიაც გამარჯვებას. პირიქით, შეიძლება ცენტრის წინააღმდეგ ადგეს პროვინცია და რევოლიუცია გაანადგუროს. და რომ ეს ასე არ მოხდეს — საჭიროა რევოლიუციის ყოველგან გამარჯვება, ადგილობრივი რეაქციის ადგილობრივათვე გატეხა. ამის ერთი საშუალებათაგანია ადგილობრივი თვითმართველობა. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყველა იმ იარაღებით, რასაც ისტორია ხელთ გვაძლევს და არა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი მანამდის, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ამას ერთათ არ მოვიპოვებთ. ეს ერთ დღეს გაკეთების თეორია კაი ხანია უარ ჰყო რუსეთის რევოლიუციამ, ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ ძველი რეჟიმი ირღვევა არა ერთი დაკვრით, არამედ თანდათან, მრავალი რევოლიუციური და კონტრ-რევოლიუციური აქტით. ერთი ასეთი რევოლიუციური აქტთაგანია თვითმართველობის დაპყრობა და თუ აქ ჩვენ პოლიციის შევუშინდით, მაშინ საზოგადოთ ყოველივე ასეთ გამოსვლას უნდა მოვერიდოთ, და თუ ამას არ ვშვრებით, თუ მიუხედავათ პოლიციის არსებობისა, ჩვენ მაინც ვმოქმედ-რობთ — ცხადია ეს გზა ნამდვილი რევოლიუციური გზაა, სხვა გზა არ არის. მაშასადამე, შუა გზაზე შეჩერება, საბჭოს კარებთან მოკრძალებით ატუზვა და შიგ შესვლის გაუბედაობა — რევოლიუციურ ენერგიის დასუსტება და გაქრობაა.

ამნაირათ, ჩვენი ტაქტიკა ასეთია: შევიარაღდეთ ყველა იმ იარაღებით, რაც კი გზაზე შეგვხვდება და გამაგრებული დღე-მუდამ ვებრძოლოთ რეაქციას. ერთი ასეთი იარაღია თვითმართველობა, ის უნდა ხელში ჩავიგდოთ, გადავაქციოთ რევოლიუციის ადგილობრივ ორგანოთ და თავზარი დავსცეთ კონტრ-რევოლიუციას.

## ახალი ამბები

**თფილისი**

✦ გუშინ, 15 დეკემბერს, ქუჩებში გააკრეს თფილისის გუბერნატორის განცხადება იმის შესახებ, რომ ნამესტნიკის ბრძანებით 1905 წ. 14 დეკემბრიდან **სამხედრო წესებია გამოცხადებული თფილისში, თფილისის მაზრაში და ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.** სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის გაერთება სამხედრო წესებიან ადგილებში ნამესტნიკის მიერ მინდობილი აქვს მის თანაშემწეს გენ.-ლ. მალამას დროებითი გენერალ-გუბერნატორის უფლებით. გენერ.-გუბერნატორს უფლება ეძლევა სხვათა შორის, გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი; დანიშნოს ამ დადგენილებათა დარღვევისათვის სასჯელი, რომელიც არ აღემატება სამი თვით ციხეში დაპატიმრებას ან 3 ათას მანეთამდის ჯარიმას; გადასცეს სამხედრო სასამართლოს საქმეები დამნაშავეთა გასასამართლებლათ სამხედრო დროის კანონების თანახმათ; აკრძალოს ყოველგვარი სახალხო, საზოგადო და კერძო კრებები, ნება დართოს საგანგებო კრებებს, ხოლო შეაჩეროს და დახუროს ... კრებები წოდებრივ საქალაქო და საერობო დაწესებულებათა და თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვროს ამ კრებათა განსახილველი კითხვები; შეაჩეროს დრო გამოშვებითი გამოცემები, სანამ სამხედრო წესები მოქმედებენ; აუკრძალოს ცალკე პირთ სამხედრო წესებიან ადგილებში ცხოვრება. გაგზავნოს ცალკე პირნი იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო უცხოელნი საზღვარგარეთ და სხ.

გუშინვე ნამესტნიკმა ცალკე ბრძანებით სამხედრო წესების გამოცხადება იმ მიზეზით დაასაბუთა, რომ უკანასკნელ დღეებში უკიდურესმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა აქტიური მოქმედება იწყეს, რომელიც გამოიხატა რკინის გზის ძალით ხელში ჩაგდებით და მაზე გაფიცვის გამართვით, თფილისში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დახურვით, ფოსტა-ტელეგრაფის აღდგენის ხელ-შეშლით და სხვა და სხვ.

✦ გუშინ წინ, 14 დეკემბერს, თფილისის საქონლის სადგურის შენობაში **მიტინგი** ჰქონდათ რკინის გზის მოსამსახურეებს, მეისრეებს, კონდუქტორებს და სხვ. მიტინგზე მოსამსახურეებმა თავიანთ შორის 8 კაცი აირჩიეს გაფიცვის დროს ხელმძღვანელ პატარა ბიუროს შესადგენათ, რომელიც თავის მხრით ადგილობრივ ს. დემოკრატიულ ორგანიზაციის ბიუროს დაექვემდებარება, სადაც ამ რვა კაცისაგან ერთი დელეგატი იქნა არჩეული. ამას შემდეგ მოსამსახურეები ორ ჯგუფათ გაიყო — სახალხო მატარებლების სადგურის მოსამსახურეებათ და საქონლის მატარებლების მოსამსახურეებათ, თავიანთ შორის სამ-სამი კაცი აირჩიეს საამხანაგო მსაჯულებათ და თვითეულს სამ-სამი კაცი დაუნიშნეს კანდიდატათ; პატიოსანი სიტყვა მისცეს ერთი მეორეს არაფერში ერთმანეთს არ უღალატონ, როგორც სამსახურში გაფიცვის დროს, ისე კერძო ცხოვრებაშიაც და ყოველთვის დაემორჩილონ ამხანაგ — მსაჯულების გადაწყვეტილებას.

✦ გუშინ თფილისის ქუჩებში „განცხადება" იყო გაკრული, სადაც სხვილი ასოებით ეწერა: „ს.-დემოკრატიული გაზეთი „ელისავეტპოლსკი ვესტნიკი" კავკასიის ნამესტნიკმა დაკეტა. **გაუმარჯოს ბეჭდვის თავისუფლებასო**".

✦ გუშინ წინ, 14 დეკემბერს, თფილისში ქართველ **ს. ფედერალისტების პროკლამა-**

(კი) გავრცელდა. პროკლამაციაში ფედერალისტები იწვევენ ყველა სარევოლიუციო პარტიებს შეერთებულ ბრძოლისთვის. პროკლამაციის ბოლოში ფედერალისტები ერთ ორ სიტყვას ჩვენც გვიძღვნიან: „ჩვენ წინაამდეგი ვართ თავისუფლების ყოველგვარ შევიწროებისა, ამიტომ ჩვენ არ დავემორჩილებით სოციალდემოკრატების გადაწყვეტილებას და სიტყვის თავისუფლებას იმათგანაც დავიცავთ მთელის ჩვენის ძალღონით. ამხანაგებო! სოციალდემოკრატებმა შეურაცხყვეს ჩვენი პარტიული თავმოყვარეობა, მაგრამ ამ შეურაცხყოფისთვის ბრალს ვდებთ ჩვენ ჩვენებურ სოციალდემოკრატიის მეთაურებს და არა თვით მუშებს". მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ სიტყვებს და კიდევ გავახსენებთ ფედერალისტებს, რომ მათი გაზეთების შეჩერება ხალხის მიტინგის გადაწყვეტილებაა და ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციის მეთაურთ ამაში არავითარი ბრალი არ უდევთ.

◆ თფილისში **ჩამოვიდა** ბათუმის ქალაქის მოურავი ბ-ნი ანდრონიკაშვილი იმის სათხოვრათ, რომ **ბათუმიდან კაზაკები** იქნან გაყვანილი.

◆ გუშინ **გაფიცვის ბიუროს სადგომს,** ანდრეევის ქუჩაზე, თავს დაესხნენ ჟანდარმები, სახლი გაჩხრიკეს და დაატუსაღეს იქ მყოფი ერთი მუშათაგანი.

◆ გუშინ ოფიცერთა ერთი ჯგუფის იმ დადგენილების გამო, რომლითაც ისინი პოლიცმეისტერ ცისსის დათხოვნას ითხოვდნენ, ცისსი იძულებული გახდა **სასახურისთვის თავი დაენებებია.** მის ალაგას დაინიშნა ჟანდარმის როტმისტრი მარტინოვი. ხმები დადის გუბერნატორ რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგზე, თითქოს მასაც უკვე დაენებებიოს თავი სამსახურისთვის.

◆ გუშინ ქალაქის ზოგიერთ ნაწილში კერძო პირთ **ჩხრეკდენ.** გაჩხრიკეს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის რამდენიმე მოხელე მათ ბინაზე.

◆ სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ თფილისის ქუჩებზე გამოჩნდენ **პატრულები და კაზაკები.** მთელი სადგური და რკინის გზის დეპო გარშემო ჯარით იყო შემორტყმული იქ შესვლა კერძო პირთ არ შეეძლოთ.

◆ კავკასიის პედაგოგთა კავშირის თფილისის განყოფილებამ თავის კრებაზე შემდეგი **რეზოლიუცია** მიიღო: „ვუერთდებით რა მოთხოვნილებას მთავრობასთან აქტიურათ შებრძოლ(ა) რუსეთის მოწინავე ქალაქე... მთავრობასთან, რომელიც ამ... ...ბი გახდა ხალხისათვის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გადაცემისა, და ვაღიარებთ-რა, რომ ახალ სკოლის შექმნა შეიძლება მხოლოთ სახალხო მართვა-გამგეობის დროს—დავადგინეთ (100 ხმის უმეტესობით 23-ის წინააღმდეგ) მხარი მივცეთ დღევანდელ სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას.

◆ თფილისის მეორე სტრელკოვი ბატალიონის მეორე როტის კამანდირი **ასეთ აგიტაციას ეწევა სალდათებ შორის:** კავკასიელები რუსების მტრებია; იმათ უნდა ჩვენი ამოწყვეტა და თავის მეფის დაყენება! სცემეთ მაგათ და ფანჯარაში გადააგდეთო". იმავე აფიცერმა დააპერინა ერთი რუსი სალდათი, იმიტომ რომ მან იატაკიდან სისხლი ვერ მორეცხა; ამავე სალდათს ბრალდება სალდათებში ლიტერატურის გავრცელება.

◆ **ბაქოდან „არაჯ"-ს** აცყობინებენ, რომ უკანასკნელ ხანებში თათრული რევ-პარტია „იფტიატი" ცდილობს, სიტყვით თუ ფურცლებით, დაამშვიდოს თათრები და სოლიდარობას ქადაგობს. ქადაგობს გარდა თათრების ერთ ნაწილს ეტყობა სურვილი დაიცვას მშვიდობიანობა და ნება არ მისცეს ხულიგანებს და აშუროვის პარტიას, წესრიგი დაარღვიონ. ამ თვის დამდეგს ხულიგანებმა სცადეს მშვიდობიანობის დარღვევა, მაგრამ თვითონ თათრებმა დაამშვიდეს აღელვებული ხალხი და უხსნიდენ შემთხვევის მიზეზს.

◆ აგტაგლიდან წამოსული რამდენიმე **ნავთის ვაგონი** შეჩერებულ იქნა. გუშინ ნავთს მხოლოთ „სვეტის" ამხანაგობის განყოფილებებში ჰყიდდენ.

◆ გუშინ **ფოსტატელეგრაფის მოხელეთა** რამოდენიმე წარმომადგენელი თფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე ჩერქეზიშვილთან იყო და თხოვა საბჭოს დარბაზი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა იმ მიტინგისათვის, დაეთმო რომელიც დღეისთვის, დეკემბრისთვის იყო განზრახული. ჩერქეზოვთან მოლაპარაკების შემდეგ რამდენიმე დეპუტატი აირჩიეს ნამესტნიკის თანაშემწე მალამასთან გასაგზავნათ და მიტინგის პროგრამის წარსადგენათ.

◆ სამხედრო წესების გამოცხადების გამო **სომხეთა ს. დემოკრატიულ ორგანიზაციის გუშინდელი მიტინგი** საბჭოს დარბაზში არ შედგა და სხვა დროსთვის გადაიდო. მიტინგზე უნდა განეხილათ საკითხი რუსეთის მომავალ სახელმწიფო წყობილების შესახებ („ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია?").

◆ სახლის პატრონი ზურაბ. დიმ. ხერხეულიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის ყველა იმ თავის დგმურებს, ვინც დღიური მუშაა, გაფიცვის დროს **არ გადაახდევინებს სახლის ქირას,** რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს ეს გაფიცვა. სასურველია, რომ ბ. ხერხეულიძეს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდეს.

◆ 10 დეკემბერს, ღამის 11 საათზე გარიჩინა და ნიკოლაევის კუთხეში სტეფანე დარიბოვის სარდაფში შეცვივდნენ 3 **გადაცმული ყაზახი** და გაუჯავრდნენ დუქნის პატრონს, რათა დუქანი დაკეტილი არ გაქვთო, თანაც ამოიღეს ორმა მათგანმა ხანჯალი და დუქნის პატრონს დაუღერეს. ერთმა ბოთლით არაყი მოიტაცა და გაიქცა ანდრეევის ქუჩაზე. ყაზახები გზაში სოციალდემოკრატების პატრულებს შეხვდნენ, მიმართეს მათ ათას-თავს ივანე გურგენიძეს და უთხრეს: ჩვენ ძმები ვართ, ერთნაირათ გაჭირვებულნი, და ჩვენ ერთათ უნდა ვიბრძოლოთო". ამ დროს დუქნის ბიჭმა მოირბინა და განაცხადა, რაც ამ ყაზახებმა ჩაიდინეს. როდესაც ათას-თავმა ივანე გურგენიძემ ყაზახები გასინჯა და ერთ მათგანს ბოთლი არაყი აღმოუჩინა, ყაზახები ყველაფერში გამოტყდნენ და სთქვეს, მართალია არაყი მოვიტაცეთ და გადაცმულებიც ვართო. პატრულებმა მაშინვე არაყი ჩამოართვეს და მეორე დღეს პატრონს ჩააბარეს, ყაზახები კი შეარცხვინეს, დარიგება მისცეს და გაუშვეს.

◆ რუსულ სათეატრო ამხანაგობისა და ქართულ დრამატიულ დასის წარმომადგენელთ ამ დღეებში თხოვეს გაფიცვის ბიუროს ნება დაერთოთ წარმოდგენები მართონ. გაფიცვის ბიურომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა. ასე რომ გუშინ წინ „ზაზა" არ წარმოუდგენიათ.

◆ 10 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე ოლგას ქუჩაზე **სოციალდემოკრატიის პატრულებმა** შეიპყრეს სამი ქურდი: გალუსტა ზურაბოვი, მარდახა ანტონაშვილი და მიხეილ დავარაშვილი, რომელთაც გატეხეს ნიკო ბუსურაშვილის ბუდკა (№ 5) ოლგას ქუჩაზე და მაჰქონდათ ტომრით 30 მ. პაპიროზი. პატრულებმა მაშინვე ბიუროს გადასცეს ქურდებიც და პაპიროზიც; ბიურომ დააბარა ხაზეინი ბუდკისა და ხელის მოწერით ჩააბარა თავისი საქონელი სრულათ. ქურდები ჯერ ისევ დატუსაღებულნი არიან. პირველი მათგანი უკვე მეორეთაა დაჭერილი.

◆ მუხრანის, ორბელიანის, პოლიციის, კათოლიკის, ს.ერებრიანის, ვანქის, მტკვრის და ... ქუჩების ბინა-მაღაზიათა დამქირავებლებმა, რიცხვით 500 კაცმა, 14 დეკემბერს დაადგინეს: 1) შემცირდეს ბინების და მაღაზიების ქირა 40 პროცენტით ამ წლის 1-ლ აპრილიდან, ე. ი. გუბერნატორის ბრძანების დაწესებიდან. ეს შეეხება ბინებ-მაღაზიების ... როგორც თვით სახლის პატრონთაგან, ისე არენდატორებისაგან დამქირავებელთ. 2) თვითეული სახლის და მაღაზიის დამქირავებელი იჩენს ახლავე მისცემ ქირიდან იმ ზედ-მეტ ფულს, რომელიც მას გადაუხდია 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდე. 3) იმ სახლისპატრონთა, არენდატორთა და ბინებ-მაღაზიების დამქირავებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ დადგენილებას დაარღვევენ, მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები რისთვისაც 4 კაცისგან შემდგარმა კომისიამ უნდა იმუშავოს ს.-დემ. პარტიასთან, სახლის პატრონის სოფიო იზმიროვის (მუშ. ქ.) წინააღმდეგ, რომელიც თავის მდგმურებს სასამართლოში უჩივის, უნდა დაუყონებლივ მიღებული იქნეს შესაფერი ზომები. 4) ეთხოვოს სხვა ქუჩების ბინებ-მაღაზიების დამქირავებელთ შეუერთდნენ ამ დადგენილებას, და ეს ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადონ, და 5) ყოველი უთანხმოება და გაუგებრობა სახლის პატრონთა, არენდატორთა და ბინებ-მაღაზიების დამქირავებელთა შორის უნდა ეუწყოს კომისიას (ერევნის მოედ., დ-რ მარკოზოვის სამკურნალო, დილ. 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე).

◆ გუშინწინ ვერაზე ჩვენს პატრულს ღლონტს თავს დასხმიან კაზაკები და, ვითომ თავიანთი ოფიცრის ბრძანებით, მოუთხოვიათ იარაღი. პატრული, ორგანიზაციის დადგენილების თანახმათ, მორიდებია კაზაკებთან შეტაკებას, გადუცია თოფი და რევოლვერი და თვითონაც გაჰქცევია ოფიცერთან. როცა დაუნახავს, რომ კაზაკებს არავითარი ბრძანება ოფიცრისაგან არა ჰქონია, მას ხუთი მანეთი მიუცია კაზაკებისათვის და მათაც თოფი და რევოლვერი უკან დაუბრუნებიათ პატრონისათვის. ღლონტმა ეს ამბავი ვერის თავის დაცვის კომისიას გადასცა.

◆ გუშინ, ვერაზე მდგომ პატრულ ცინცაძეს უცნობმა გადაცმულმა გოროდოვოიმ მაუზერი და თავში ჯოხი დაარტყა.

## კ ა ვ კ ა ს ი ა.

**ბაქო.** როგორც ხმები დადის, ქ. ბაქო ამ ჟამათ რევოლიუციონერების ხელშია.

**კაზაკების მოძრაობა ევლახში.** ევლახიდან გვწერენ: შუშაში გასაგზავნმა კაზაკებმა, რიცხვით 800 კაცმა მოსთხოვეს კომანდირისაგან—ნება მოგვეცით თავისუფლათ ვიმოქმედოთ სომეხ-თათრის დასაწყნარებლათ, ჩამოვართვათ მათ თოფები და უკან აღარ დავუბრუნოთო, ამასთან ... თოფი ესროლოთ ურჩებს, როგორც სომხებს, ისე თათრებსაცო. კომანდირი ამაზე არ დათანხმდა. კაზაკების კითხვაზე—მაშ თქვენ გვაძლევთ ნებას წართმეული იარაღი ... უკან დავუბრუნოთო? —ჰო, უნდა დაუბრუნოთო—უპასუხა კომანდირმა. მაშინ კაზაკებმა ... განაცხადეს, ჩვენ შუშაში არ წავალთ, რადგან ასეთ პირობებში არასოდეს ხოცვა-ჟლეტა არ შესწყდებაო. ყველამ ერთხმათ თქვეს—ეს ხოცვა-ჟლეტა მთავრობისაგან არის გამოწვეულიო. ჩვენ, კაზაკებს ამდენ ხანს გვასულელებდნენ, ახლა კი ჩვენც თვალები აგვეხილა, აღარ გვსურს მთავრობის საზიზღარ განკარგულებანი ასრულება, ჩვენ ადამიანები კი არა, როგორც მხეცებათ გვთვლიან ჩვენი ძმები. ჩვენ ... ერთი სამშობლოს შვილები ვართ. შეგვეცოდეთ ემმაკობა, ეხლა ვეღარ მოგვატყუებთ. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველგან განმათავისუფლებელი მოძრაობაა. ქართველები, სომხები, თათრები და ყველა ერები ყველა ჩვენი ძმები არიან, ახლავე შინ გაგვიშვით, თორემ მთავრობის ... ცუდათ იქნებაო. ბატალიონის კომანდირმა ... რევოლვერით შეაშინება კაზაკები ... თავს უშველა, გასწავა გაქუსლა. კაზაკებმა ძმობა გამოუცხადეს რკინის გზის მოსამსახურეებს და როცა მათი მატარებელი დაიძრა, სტეხეს ურრებ გამწვედი „ურას" ძახილი. მათ აირჩიეს დელეგატები, რომ კაზაკობასაც ვაცნოთ ... წარმომადგენლები დამფუძნებელ კრებაში. გზა და გზა სადგურებში ეს კაზაკები თავის ამხანაგებში აგიტაციას აწეობდნენ მთავრობის წინააღმდეგ".

როგორც უკვე დეპეშით გამოგვეცემა, ის კაზაკები სამშობლოში დაბრუნეს.

### თფილისის მუშათა ორგანიზაციის გაფიცვის ბიუროს დადგენილებანი.

13 დეკემბერი.

1) დელეგატებისა და სანოვაგეთა მატარებლებზე კერძო პირების კერძო საქმეთათვის მგზავრობა არ შეიძლება.

2) სურსათის ერთი სადგურიდან მეორეზე გადატან-გადმოტანა შეიძლება რომელიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წინადადებით და შემდეგ როცა ასეთ წინადადებას სანოვაგეთა კომისია განიხილავს.

3) იმის გამორკვევა, თუ რამდენათ მართალია განცხადება ... ალიაბში კაცის გაგზავნის იქაურ მუშებისათვის ფულების დარიგების შესახებ მიენდო ორ ამხანაგს ბიუროს წევრთაგან.

4) სანოვაგეთა კომისია ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს თფილისში სანოვაგეთა ფარულ საწყობების აღმოსაჩენათ.

5) სანოვაგეთა კომისია გამოაქვეყნებს საწყობების ადრესებს.

6) სანოვაგეთა კომისია ნებას აძლევს სხვა და სხვა ფირმებს შემოიტანონ ქალაქში სანოვაგეები თუ ბაჟასი გამოიღევა.

7) რკინის გზის ბიუროს გამოეცხადა: ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს და რკინის გზის მოხელეებს დაურიგდეს ხვედრი ფული ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირებიდან. რკინის გზის სამმართველოში შეწყდეს მუშაობა მაშინვე, როცა ყველა რკინის გზის მოსამსახურენი ჯამაგირს მიიღებენ.

8) დაკმაყოფილებულ იქნას ქუთაისის ორგანიზაციის მოთხოვნილებანი.

14 დეკემბერი.

1) რკინის გზის სად. **პოილის** ბნელ ძალთა თავდასხმისაგან დასაფარავათ ბიურომ დაადგინა: ა) გაიგზავნოს გამოცდილი ორგანიზატორი სად. აქსტაფაში, სადაც შეიარაღებული დრუჟინა იმყოფება ამ დრუჟინის პოილში გასაგზავნათ. აქსტაფიდან ორგანიზატორი გაემართოს განჯაში საპიორთა ბიუროსთან მოსალაპარაკებლათ, რომ იქიდანაც გაიგზავნოს სამხედრო ძალა სადგ. პოილში. ბ) მიმართოს მოწოდებით საპიორებსა და საზოგადოთ ჯარის-კაცთ, რომ დახმარება აღმოუჩინონ რკინის გზის მოხელეებს ბნელ ძალთა თავდასხმის დროს. გ) ამავე მიზნით მოლაპარაკება გაიმართოს „დაშნაკცუტუნთა" პარტიასთან.

2) მრავალ წვრილმან თხოვნათა გამო გაფიცვის ბიუროს გამოეყო ცალკე **აღმასრულებელი კომისია** ამ წვრილმან კითხვათა გადასაწყვეტათ.

3) გაფიცვის ბიურომ მოისმინა ქალაქის თვითმართველობის გაფიცულ მოხელეთა მოხსენება და მოიწონა მათი დადგენილება: გაფიცვა არ ეხება ქუჩების განათებას, სამკურნალო ნაწილს, მომავალ არჩევნებისათვის სიის შემდგენელთ, აგრეთვე ქალაქის სანოვაგეთა კომისიამ უნდა იმოქმედოს ადგილობრივ სოც.-დემოკრ. ორგანიზაციის სანოვაგეთა კომისიის ხელმძღვანელობით.

4) ელექტრონის სინათლე უპრავას არ მიეცემა.

5) მოისმინა რა სოც.-დემ. ორგანიზაციის სანოვაგეთა კომისიის მოხსენება გაფიცვის ბიურომ დაადგინა: გაიგზავნოს კაცი მიხაილოვში, რომ შემოტანილ იქნას იქიდან შაქრით დატვირთული ვაგონები.

6) მოისმინა რა რკინის გზის კომისიის მოხსენება ბიურომ დაადგინა: რკინის გზით მოგზაურობა შეუძლია იმ მოსამსახურეებს, რომლებიც მიდიან სანოვაგეთა შესაძენათ, ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ნიშნები.

7) რადგანაც ამ ბოლო ხანებში გახშირდა დელეგატების პოეზდთა მსვლელობა, გაფიცვის ბიურომ დაადგინა: არ გაიგზავნოს არც ერთი დელეგატის მატარებელი გაფიცვის ბიუროს დაუკითხავათ.

8) დაარსდა რკინის გზის კომისიის დამხმარე პოდკომისია.

## დეპეშები

**ალსტაფა,** 14 დეკემბერი. რუსეთ. რკ. გზ. ყველა ლიანდაგზე. ამხანაგებს.

სადგ. აღსტაფის ყველა მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს 14 დეკემბრის კრებაზე, განაგრძონ გაფიცვა სრულ გამარჯვებამდე, ყური არ ათხოვონ მომაკვდავი მთავრობის რეაქციის დაშინებას და თუ გამართლდა ხმები ამიერ კავკასიის რკინის გზის სამხედრო უწყებისათვის გადაცემის შესახებ და გაფიცულების წინააღმდეგ სასტიკ ღონისძიებას მიმართა მთავრობამ, მაშინ ყველა მოსამსახურეები ვტოვებთ სადგურებს და გავდივართ აქედან.

**ალსტაფის გაფიცვის ბიურო.**

**ევლახი,** 13 დეკემბერი. რუსეთის რკ. გზ. ყველა სადგურებზე გაფიცვის კომიტეტთა ორგანიზაციებს.

ვერავითარი დაშინება მომაკვდავი მთავრობის მხრივ ჩვენ უკან ვერ დაგვახევინებს თავისუფლების და მოქალაქეობრივი უფლებებისთვის ბრძოლის ველიდან. სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა რკინის გზებს და ვაცხადებთ, რომ არ შევწყვეტთ გაფიცვას, სანამ რუსეთის ყველა რკინის გზები არ დაიწყებს მუშაობას.

**სადგ. ევლახის ორგანიზაცია.**

**ქიურდამირი,** 13 დეკემბერი. რუსეთის რკ. გზ. ყველა მთავარ ლიანდაგზე და შტოებზე. გაფიცვის ბიუროებს, დელეგატებს და ყველა ამხანაგებს. დეპეშის პირი თფილისში. რკ. გზ. ცენტრ. ბიუროს რ. ს. დ. მ. პარტიისას.

სადგ. ქიურდამირის მოსამსახურეებმა დაარსეთ კავშირი, აირჩიეთ ბიურო და გადავწყვიტეთ ... სრული სოლიდარობა გამოვუცხადოთ თავისუფლებისათვის მებრძოლ გაფიცულ ... ებს და მხარი დავუჭიროთ ამხანაგთა მოთხოვნებს, სანამ შევიძლებთ.

**ქიურდამირის გაფიცვის ბიურო.**

**პოილი,** 14 დეკემბერი. განჯა, კურინის პოლკის კომანდირის, პოლკოვნ. სმიგაკ. დეპეშის პირი თფილისში, გაფიცვის ბიუროს, აღსტაფაში კაპრიაშვილს.

მესამეჯერ გიმეორებთ თხოვნას, გამოგზანოთ დამცველები სადგურისათვის. გუშინ ღამით სადგურს თავს დაესხნენ და ცეცხლიც გააჩინეს. გატეხეს ხუთი ვაგონი, დაიტაცეს საქონელი. მოსამსახურეებს დიდი საფრთხე მოელის.

**სადგ. პოილის უფროსი კორსაკი.**

**სადგ. თათლუ,** 13 დეკემბერი. 10 დეკემბერს, ღამით, თათრები დაეცენ სადგურს გასტეხეს ხუთი ვაგონის სახურავი და დაიტაცეს ყველაფერი. დღეს, 13 დეკემბერს 500-მდე თათარი დაეცა სადგურს და ქვაბიდან ნავთი დაიტაცა. აღსტაფიდან თაუზში მიმავალი 50 კაზაკი თავს დაესხა თათრებს, იარაღი აართვა მათ და სცემა, ერთი თათარი მძიმეთ დაჰრილია. კაზაკები შემდეგ თაუზში გაემგზავრენ. ჩვენ დამცველები არ დაგვიტოვეს. ცუდ მდგომარეობაში ვართ, უბედურება მოგველის. თუ რომ დამცველებს ვერ გამოგვიგზავნით, იმ შემთხვევაში გთხოვთ, თქვენ ამხანაგებო, გაგვიყვანოთ აქედან.

**კალოიანი, ტყემალაძე და სხვები.**

(პეტერბურგის ტელეგრ. სააგენტო)

**პლოცკი,** 3 დეკემბერი. გუშინ „ბუნდის" პარტიამ დემონსტრაცია გამართა ებრაელთა უბანში. დემონსტრანტები დრაგუნებმა გაფანტეს. „ვარშავის კურიერი" იუწყება, რომ ღამით კოროლევის ქუჩაზე ორი ასაფეთქებელი ყუმბარა ესროლეს იმ „ბუტკებს", რომლებშიაც ტელეგრაფის მავთულთა ქსელია მოთავსებული. ბუტკები ყუმბარებით დაუნგრევიათ. ბოროტმოქმედები მიმალულან. გუშინ საღამოს ორ გოროდოვოის გარს შემოერტყა ბოროტ-მოქმედთა ბრბო, ერთი გოროდოვოი მოკლეს, მეორე რევოლვერით დასჭრეს.

**ბახმუტი,** 3 დეკემბერი. დონეცის ბასეინის აღმოსავლეთ რაიონში მუშებს მღელვარება ეტყობა. გოლუბოვსკის ამხანაგობის ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა, რომელიც 23 დღე გაგრძელდა, თავდება. გაიფიცენ ვარვაროპოლის და პოტრამარიევის საზოგადოებათა მაღაროების მუშები.

**პეტერბურგი,** 3 დეკემბერი. „ტელსტეენი ვესტნიკ"-ში გამოცხადებულ 17 ოკტომბრის უმაღლეს მანიფესტის მოცხადების შემდეგ სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა და გამომცემლებმა შეადგინეს „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დამცველი კავშირი" გადაწყვიტეს არ დაემორჩილონ არავითარ კანონებს. ზოგიერთი ორგანოები ყოველგვარ საზღვარს გადაცდენ და დაიწყეს ისეთი წერილების ბეჭდვა, რომელნიც მთ(ელ) ბოროტ-მოქმედებას შეიცავენ. 22 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე ორივე სატახტო ქალაქშისისხლის სამართლის 92 საქმეა აღძრული.

**პეტერბურგი,** 5 დეკემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წესები, 6 აგვისტოს არჩევნო სისტემის დამატებას შეადგენს. ამ პროექტის თანახმათ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა რიცხვს 54 ემატება, ხოლო მუშებს ექვსით ნაკლები წარმომადგენელი ეყოლება სათათბიროში (წინეთ 20—ახლა კი 14).

**პეტერბურგი,** 3 დეკემბერი. ოფიციალური. უმაღლესი სახელობითი ბრძანება უმართებელეს სენატისადმი. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვით გამოწვეულ უწესოებათა გამო როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი მთავრობანი მოკლებულნი არიან საშუალებას ერთმანეთ-შორის დამოკიდებულება იქონიონ. ხოლო ასეთი დამოკიდებულება ამჟამათ მით უმეტეს საჭიროა, რომ ამბოხება და მღელვარება, რომელნიც მრავალ გუბერნიებში არ ცხრებიან, ხშირათ განსაკუთრებულ წესების შემოღებას თხოულობენ წესიერების აღსადგენათ; ასეთი წესების შემოღება კი უმაღლეს მთავრობისაგან არის დამოკიდებული. კიდევ უფრო საძნელო შეიქნა რკინის გზათა უწესობის დაცხრობა. ამ გვარი მოვლენები ცუდათ მოქმედობენ მთელი იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაზე და აშკარათ მოწმობენ, რომ მეამბოხე წამქეზებელნი, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ არეულობით შერყეულ კეთილ-დღეობას რუსეთის ხალხისა, არავითარ საშუალებას არ მოერიდებიან თავის ბოროტ და რუსეთის ხალხის კეთილ-დღეობის წინააღმდეგ მიმართულ მიზანთა გასახორციელებლათ. საქმის ასეთი არეულ-დარეული მდგომარეობა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეწყდება ან აირევა ფოსტა-ტელეგრაფის ან მატარებლების მოსვლა, თავის თავათ იწვევს განსაკუთრებულ წესების შემოღებას, რაც ასეთ მდგომარებაში ადგილობრივ მთავრობას შეუძლია იკისროს უმაღლეს მთავრობისაგან ნებადართულათ. ასეთ მოსაზრებათა მიხედვით ჩვენ ვბრძანებთ: 1) გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს მათთვის რწმუნებულ ადგილებში ნება ეძლევათ თავიანთ შეხედულებისამებრ შემოიღონ გაძლიერებული თუ განსაკუთრებული დაცვის წესები, შემთხვევაში თუ რომ ფოსტა-ტელეგრაფი და რკინის გზის მატარებლების მსვლელობა შეწყდა ან აირია. ამავე დროს გრადონაჩალნიკებს ენიჭება მთავარ-მართებელთა უფლებები, ხოლო გუბერნატორებს—გენერალ-გუბერნატორთა.

**მინსკი,** 6 დეკემბერი. აგრარული მოძრაობა ჯარის ჩამოსვლის შემდეგ შესუსტდა.

**პეტერბურგი,** 4 დეკემბერი. 3 დეკემბერს დატუსაღებულ მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრები გაანთავისუფლეს გარდა 32 კაცისა, რომელთაც თავის ვინაობა არ გამოამჟღავნეს. 3 დეკემბერს მინისტრ დურნოვოს ბინის მახლობლათ შეიპყრეს უცნობი კაცი, რომელსაც ასაფეთქებელი მასალებით გატენილი ყუმბარა აღმოაჩნდა. უცნობმა თავის ვინაობა არ გამოამჟღავნა.

**პეტერბურგი.** გაზ. „ნოვ. ჟიზნის" რედაქტორის საქმე გადაიდო, ვინაიდან, მის წინააღმდეგ კიდევ 10-მდე ამგვარივე საქმეა აღძრული. ამ ჟამათ ამ საქმეების გამოძიება სწარმოებს.

შენიშვნა. ყველა ზემოთ მოყვანილი დეპეშები დაგვიანებულია.

რედაქტ.-გამომცემელი ვლ. ახმეტელაშვილი


## განცხადება

ჩემი მარწმუნებლების, ქართლ-კახეთის **მთავრებ-დიაკვნების სახელმძღვანელოთ ამით ვაცხადებ,** რომ თფილისის ქალაქის სამღვდელოებამ თავისს სრულ კრებაზე, (90 კაცამდე იყო,) 12 ამა დეკემბერს, დეკანოზის სოლომონ შოშიაშვილის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა მათთვის წილის მომატება საძმო შემოსავლიდან ამ გვარად: შტატის **მღვდელნი,** რამდენიც უნდა იყვნენ კრებულში, იღებენ თანაბრათ სამ სამ წილს, **მთავარი** ორ წილ ნახევარს, ხოლო **მედავითნე** ორ წილს, ერთნაირათ, რამდენიც უნდა იყვნენ.

თავმჯდომარე თფილისის ცენტრალურ მთავრებ-დიაკვნების ორგანიზაციისა, ქვაშვეთის მთავარი, **ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი.**

(3—1).

თფილისის საოლქო ბიურო სრულიად რუსეთისა ფოსტა-ტელეგრაფის კავშირისა იწვევს თავის ამხანაგებს კრებაზე რომელიც მოხდება 16 დეკემბერს დილის 1 საათზე თფილისის საქალაქო საბჭოს შენობაში,


თბილისი. სტამბა ე. ა. ლიბერმანისა, კრილოვის ქუჩა, № 15.